საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს
წევრობის – მეურვეობის კანდიდატების შესარჩევი საპარლამენტო
საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 209-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის – მეურვეობის 3 კანდიდატის შესარჩევი საპარლამენტო საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით მაღლაფერიძე – რადიო „იმედის“ პროგრამების დირექტორი;

ბ) მაკო ჯაოშვილი – მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის „ალტერბრიჯის“ ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი;

გ) გოდერძი შარაშია – ჟურნალისტი, ტელეწამყვანი;

დ) ნინო მეუნარგია – ჟურნალისტი, საავტორო გადაცემის „ჩვენ აქ ვართ“ წამყვანი და ავტორი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დამცველი;

ე) ოთარ ტატიშვილი – კინომსახიობი, რადიო- და ტელეწამყვანი, ექიმი, პროფესორი;

ვ) ნინო კაკულია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალ „თბილისის“ რედაქტორი, ჟურნალისტი;

ზ) გედევან ჯინჭარაძე – ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტი, ფოლკლორისტი;

თ) მარიამ გვიდიანი – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალების ხმა – დემოკრატია და უსაფრთხოება“ აღმასრულებელი დირექტორი;

ი) გივი აბესაძე – ფოლკლორული ანსამბლის „დიდგორის“ სოლისტი.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი

თბილისი,
2024 წლის 22 მარტი.
№4097 - XIVმს-Xმპ